სკოლის ფილოსოფია

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები

სკოლის მისიაა - მშობლებთან ერთად იზრუნოს მოსწავლეთა უწყვეტ განვითარებაზე, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოქალაქის აღზრდაზე, რომელსაც ექნება ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი. უცხოური (დასავლური და აღმოსავლური) ენებისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაღრმავებული სწავლებით, მოამზადოს მოსწავლეები ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის.

სკოლის ხედვაა - სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში, მშობლებთან თანამშრომლობით, შიდა სასკოლო მონიტორინგითა და არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერებით შექმნას სკოლაში კონკურენტუნარიანი, თავისუფალი შემოქმედებითი გარემო.

ღირებულებები:

ობიექტურობა: სკოლის საქმიანობის შეფასება და თვითშეფასება, მოსწავლის, მასწავლებლის, სასწავლო პროცესის შეფასება ეფუძნება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს. დადგენილი პროცედურები მაქსიმალურად გამორიცხავს შეფასებაში მონაწილე პირების სუბიექტივიზმს.

გამჭირვალობა: საქმიანობაში მოქმედი სტანდარტები და პროცედურები, სკოლის ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია ყველა მხარისათვის. უზრუნველყოფილია სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.

მიუკერძოებლობა: სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას და ითვალისწინებდეს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს;

თანამშრომლობა: სკოლა ღიაა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისათვის. კონსტრუქციულად განიხილება სიახლეები, წინადადებები, განსხვავებული პოზიციები.

ზრუნვა მუდმივ განვითარებაზე: სისტემატურად ფასდება სკოლის საქმიანობა. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, იგეგმება შემდგომი განვითარების გზები.

სტრატეგიული მიზნები

- **სწავლა -სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა**
- **სკოლის ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება**
- **სკოლის მართვასთან დაკავშირებული მიდგომების სრულყოფა**
- **ადამიანური რესურსების მართვის სისტემების სრულყოფა**
- **მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებების გაუმჯობესება**